ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43

2014 წლის 10 ოქტომბერი

ქ. ქუთაისი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები 2015 წლის 1 იანვრიდან დანართის შესაბამისად.

/დანართი დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2015 წლის 1 იანვრიდან „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ 2014 წლის 16 ივლისის №9 დადგენილება /სსმ matsne@justice.gov.ge 18.07.2014. 190020020.35.123.016219/.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 10 ოქტომბრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დვალი**

დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების შესახებ

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი განაკვეთი ლარებში
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	2750
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2150
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1700
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1700
5.	საკრებულოს აპარატის უფროსი	1700
6.	განყოფილების უფროსი	1000
7.	თანაშემწე	900
8.	მთავარი სპეციალისტი	700
9.	წამყვანი სპეციალისტი	650

10.	უფროსი სპეციალისტი	600
11.	სპეციალისტი	550